დამკვეთის მონაცემები: გოეთე ინსტიტუტის ფილიალი საქართველოში ადმინისტრაციის განყოფილება ზანდუკელის ქ.16 0108 თბილისი, საქართველო	პასუხისმგებელი პირი: სოფიო მდივნიშვილი-გრიზე ტელ.: +995 -2938945 (701) ელ-ფოსტა: Sophia.Mdivnishvili-Griese@goethe.de

გოეთეს ინსტიტუტი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთელს მსოფლიოში მოქმედი კულტურის ინსტიტუტია, რომელიც ხელს უწყობს გერმანული ენის შესწავლასა და საერთაშორისო კულტურულ თანამშრომლობას.

ტენდერი: სარეკლამო-ბეჭდური მომსახურება საქართველოს გოეთეს ინსტიტუტისთვის

სამუშაოს აღწერა:

1. **ბეჭდვა**

ბეჭდვითი (პოლიგრაფიული) პროდუქტები

- ანგარიშები (A4, წიგნური ან სტეპლერით შეკრული, ფერადი/შავ-თეთრი)
- პუბლიკაციები
- ბუკლეტები / ბროშურები (A4/A5)
- ფლაერები / ლიფლეტები (A5/A6, ერთ ან ორმხრივი) ან ტრიპლეტები
- კონფერენციის და ღონისძიებების დღის წესრიგები და პროგრამები (A4, დაკეცილი ბუკლეტი)
- სერტიფიკატები
- საინფორმაციო სტენდები / ბეჭდური პანელები
- როლ-აპ ბანერები (სადგამით)
- სტიკერები
- სავიზიტო ბარათები

---

2. **ტექსტილი და სხვა ბრენდირებული პროდუქტები**

- ტოტბეგები (ბამბის, ლოგოს ბეჭდვით)
- მაისურები
- ქუდები
- ჰუდები

---

3. **საკანცელარიო ნივთები**

- ბლოკნოტები (A5, ბრენდირებული ყდებით)
- კალმები / ფანქრები (ლოგოს ბეჭდვით)
- ბეჯები (ლამინირებული, ჩასმული დამჭერებში, ლენტით ან კლიპით)
- გასაღების საკიდები
- ჭიქები

ძირითადი წესები:

სატენდერო დოკუმენტები შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს მხოლოდ ამ ტენდერის კონტექსტში. დაუშვებელია სატენდერო დოკუმენტების (მათ შორის ამონარიდების) გამოქვეყნება ან მესამე პირისთვის გადაგზავნა შესაბამისი უფლებამოსილი პირის ნებართვის გარეშე.

ყველა განმცხადებელი ინფორმირებული იქნება სატენდერო განცხადებასთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაციის ან შესწორების დამატების შემთხვევაში.

სატენდერო შეთავაზების მომზადების პირობები:

1. **შეთავაზების ფორმა**

სატენდერო შეთავაზება დანართებთან ერთად უნდა მომზადდეს ქართულ ენაზე და გაიგზავნოს ელექტრონულად PDF ფაილის სახით ელექტრონული ფოსტის მისამართზე: ausschreibung-tbilissi@goethe.de

მეილით გაგზავნილი შეთავაზების შემთხვევაში, გარანტირებულია, რომ ისინი გაიხსნება მხოლოდ დედლაინის ვადის გასვლის შემდეგ.

ცვლილებები და დამატებები სატენდერო შეთავაზებაზე და დანართებზე არ არის ნებადართული და გამოიწვევს ტენდერში მონაწილეობიდან გამოთიშვას.

2. **ვადები**

სრულყოფილი სატენდერო შეთავაზება გაგზავნილ უნდა იქნეს არაუგვიანეს **2025 წლის 16 ნოემბრის 23:59 საათამდე pdf-ფაილის სახით, რომელიც იქნება pdf-„პაროლით“ დაცული. ტენდერის საბუთების მიღების ვადის გასვლის შემდეგ პაროლი უნდა გამოიგზავნოს იმავე მეილის მისამართზე ცალკე მეილის სახით ტენდერის დასრულების მეორე დღეს.**

გვიან მიღებული დოკუმენტები არ განიხილება, თუკი განმცხადებელი არ დაასაბუთებს, რომ დაგვიანება მისი მიზეზით გამოწვეული არ ყოფილა.შერჩეული კანდიდატის თაობაზე გადაწყვეტილება მიიღება და დანარჩენი კანდიდატები ინფორმირებული იქნებიან არაუგვიანეს **2025 წლის 30 ნოემბრის** ჩათვლით.

დაუშვებელია ხელშეკრულების პირობების შეცვლა და შესწორება. ასეთი ცვლილებების დამატება გამოიწვევს ტენდერში მონაწილეობიდან გამოთიშვას.

დაუშვებელია მეორადი სატენდერო შეთავაზებები.

სატენდერო შეთავაზება უნდა მომზადდეს სრულყოფილი სახით შემდეგი სტრუქტურის მიხედვით:

- **ფასების კალკულაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ლარში საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახდის ჩათვლით, ფირმის დასახელებისა და საიდენტიფიკაციო ნომრის მითითებით. კერძო პირის ან ინდმეწარმის შემთხვევაში - პირადი ნომრის მითითებით.**

სატენდერო შეთავაზება უნდა იყოს სრულყოფილი, მოიცავდეს ფასს და ყველა მოთხოვნილ ინფორმაციას. არასრულყოფილი სახით წარმოდგენილმა ინფორმაციამ შესაძლოა, გამოიწვიოს ტენდერიდან გამოთიშვა.

3. სატენდერო შეთავაზების შესწორება, ცვლილება ან უკან გატანა

შესაძლებელია სატენდერო შეთავაზების უკან გატანა დედლაინის ვადის გასვლამდე წერილობითი ფორმით/ელ-ფოსტის საშუალებით შეტყობინების საფუძველზე.

4. ტენდერის პროცედურა

ტენდერის გამომცხადებელი განიხილავს შემოსულ სატენდერო შეთავაზებებს და დაამუშავებს შესაბამისი კრიტერიუმების მიხედვით.

ხელშეკრულება გაფორმდება იმ ფირმასთან ან კერძო პირთან, რომლის შემოთავაზება ეკონომიკურად ყველაზე ხელსაყრელი იქნება გოეთეს ინსტიტუტისათვის. საბოლოო გადაწყვეტილება შეტყობინებული იქნება ელექტრონულად. ხელშეკრულება გაფორმებული იქნება იმ პირობების შესაბამისად, რომელიც გაწერილია სატენდერო განცხადებაში.

5. შეფასება

განმცხადებლები შეფასდებიან შემდეგი სავალდებულო კრიტერიუმების საფუძველზე:

- ტექნიკური აღჭურვილობა
- პარტნიორები/რეკომენდაციები

6. გადაწყვეტილების მიღების კრიტერიუმები/ ეკონომიკურად ყველაზე ხელსაყრელი შემოთავაზების შერჩევა

- ფასი
- ხარისხი
- სამუშაოს შესრულების დრო

7. განმცხადებლის კითხვები

ტენდერთან დაკავშირებული კითხვები გაგზავნილ უნდა იქნეს ელექტრონულად შემდეგ მისამართზე ausschreibung-tbilissi@goethe.de არაუგვიანეს **10.11.2025**

ტენდერის გამომცხადებელი არ უზრუნველყოფს სატელეფონო კონსულტაციას.

8. განმცხადებლის საჩივარი

თუ განმცხადებლის აზრით, შეთავაზების დოკუმენტები შეიცავს შეცდომებს, შეუსაბამოებებს ან ტენდერის პროცედურის რაიმე რეგულაციის დარღვევას, განმცხადებელმა უნდა აცნობოს ამის თაობაზე წერილობითი ფორმით ელექტრონულად დაუყოვნებლივ და სატენდერო შეთავაზების გაგზავნამდე.

ასეთი ინფორმაცია და პროცედურული საჩივრები უნდა გამოიგზავნოს შემდეგ მისამართზე:

გოეთე ინსტიტუტის ფილიალი საქართველოში

ადმინისტრაციის განყოფილება

ელ-ფოსტა: Ausschreibung-Tbilissi@goethe.de

9. სხვა

ტენდერში მონაწილეობისა და დოკუმენტების მომზადებასთან დაკავშირებული ხარჯები არ ანაზღაურდება.